სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“

#24 საერთო კრების მოწვევის შესახებ

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ა“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების და 195-ემუხლის გათვალისწინებით

გადაწყდა:

მოწვეულ იქნეს საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრება **2026 წლის 20 აგვისტოს, 13:00 საათზე, დისტანციურ ფორმატში.**

1. საერთო კრების დღის წესრიგით განისაზღვროს შემდეგნაირად:

   - აუდიტის ანგარიშის დამტკიცება;
   - საზოგადოების განთავსებული კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების გამოშვებით;
   - სადამუძნებლო შეთანხმების ცვლილება.

2. საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს **2026 წლის 19 აგვისტო,** გასათვალისწინებელია, რომ საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან;
3. საერთო კრება ჩატარდება ონლაინ ფორმატში, კენჭისყრა ხორციელდება ღია ხმის მიცემის მეშვეობით, საერთო კრების ოქმში აისახება კენჭისყრის შედეგები;
4. საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებს ეცნობება პირადად, ასევე ელექტრონულ მისამართებზე გაეგზავნებათ კრების მოწვევის შესახებ წინამდებარე გადაწყვეტილება და დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხებთან დაკავშირებული დოკუმენტები.
5. კანონმდებლობით დადგენილი წესით, გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე და სენბის ვებ-გვერდზე.

ირაკლი გალდავა
გენერალური დირექტორი

Irakli Galdava 01024051256

Digitally signed by Irakli Galdava
Date: 2026.08.19 09:42:02

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის “ (სენბი)

<u>რიგგარეშე</u> საერთო კრების ოქმი #24/2026 -სთვის

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მისაღები გადაწყვეტილების პროექტი

სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ა“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების და 195-ემუხლის გათვალისწინებით მოწვეული იქნა საერთო კრება.

შესაძლო გადაწყვეტის დასაბუთება

საკითხი #1: აუდიტის ანგარიშის დამტკიცება;
სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სააქციო საზოგადოების აუდიტის ანგარიშის დამტკიცების შესახებ.

საკითხი #2: საზოგადოების განთავსებული კაპიტალის გაზრდა დამატებითი აქციების გამოშვებით.
სს „საქართველოს ენერგეტიკული ბირჟის“ (სენბი, ს/კ 404589432, მის: საქართველო, თბილისი, გაგარინის ქ. #24) 2026 წლის 5 მარტის №22/2026 საერთო კრების ოქმით დამტკიცებული წესდების (წესდება) მე-14 მუხლის მე-1 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ასევე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას განთავსებული კაპიტალის ცვლილების შესახებ;

საკითხი #3: სადამუძნებლო შეთანხმების ცვლილება.

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის 195-ე მუხლის, ასევე სენბის წესდების 184-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებას სადამფუძნებლო შეთანხმების ცვლილებასთან დაკავშირებით.